www.democracyresearch.org

თებერვალი
2024

საინფორმაციო ბიულეტენი

DRI-ის საქმიანობა თებერვალში

- მართვის სისტემური პრობლემები ოკუპირებული ახალგორის რაიონის ჯანდაცვის სექტორში
- ოკუპირებულ აფხაზეთში საწვავის კრიზისი გრძელდება: რა ვერსიებს განიხილავს საზოგადოება?
- ხელისუფლების სამოქმედო გეგმა უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის გაუმჯობესების ნაწილში ხარვეზიანია და არ პასუხობს ევროკომისიის მოთხოვნას
- რუსეთი აფხაზეთის ანექსიისთვის მის სრულ იზოლაციას გეგმავს
- რა ფორმებით ელოდება აფხაზეთს რუსული წნეხის გაძლიერება და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამან რეგიონში სტაბილურობაზე?
- „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფო“ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას განაგრძობს

DRI ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ დახმარებას

ცხელი ხაზი :

511 331 228

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

როგორ უნდა შესრულდეს 9 ნაბიჯი ევროკავშირში გაწევრების მოლაპარაკების დასაწყებად

2023 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რასაც საქართველოს მხრიდან 9 პრიორიტეტული მიმართულებით სწრაფი რეფორმები უნდა მოჰყვეს. 12 საზოგადოებრივი ორგანიზაციის კოალიციამ, სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ლიდერობით, შეიმუშავა დეტალური ხედვა, თუ როგორ უნდა შესრულდეს ეფექტურად ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 9 ნაბიჯი, რათა ქვეყანა გადავიდეს ევროინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე და ევროკავშირთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები გაიხსნას.

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლი არაეფექტიანია

29 თებერვალს, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა ანგარიშის „უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები“ პრეზენტაცია გამართა. დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაზე დაკვირვების ერთწლიან ანგარიშს.

DRI ულტრამემარჯვენე ჯგუფებზე დაკვირვების 8 თვიან შედეგებს აჯამებს

ანგარიშში წარმოდგენილი თემები: ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტივობა სოციალურ ქსელებში, ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვება, პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ საქმიანობა და ფინანსური მონიტორინგი.

ტრენინგი კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მომუშავე აქტივისტებისთვის ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების საკითხებზე

▶ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) აგრძელებს განაცხადების მიღებას ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგის მონაწილეთა შესარჩევად.

ტრენინგზე განსახილველი საკითხები:
✓ ციფრული უსაფრთხოების მნიშვნელობა და თავდაცვის მექანიზმები;
✓სამოქალაქო აქტივისტების მიმართ არსებული საფრთხეების (ფიზიკური, ფსიქოლოგიური) გააზრება და შეფასება;
✓თავდასხმებისა და შეტევების ფაქტებზე რეაგირება და მათი პრევენცია;
✓უსაფრთხოების სტრატეგიისა და გეგმის შემუშავება;
✓უსაფრთხოების უზრუნველყოფა ორგანიზაციებში, სამსახურებსა თუ სახლში.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 6 მარტი, 18:00 საათი.
გთხოვთ, მოთხოვნილი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე **info@democracyresearch.org;** მეილის დასახელებაში მიუთითეთ **„უსაფრთხოების ტრენინგი“.**

ტრენინგი „დემოკრატიის ევროპული წვლილის“ მხარდაჭერით ტარდება და მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სამოქალაქო აქტივისტების შესაძლებლობების გაძლიერებას.